სახელმწიფო შესყიდვების №39/გ.შ
ხელშეკრულება

ქ. ბათუმი

08 ნოემბერი 2013 წელი

ერთი მხრივ ა(ა)იპ **"ბათუმის ყინულის სასახლე"** მისი **დირექტორის ჯემალ თაფლაძის სახით მის: ქ.ბათუმი ლადო ასათიანის ქ. №27** (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ **შპს „ლაშვარდი" მისი დირექტორის ფრიდონ მგელაძის სახით, მის: ქ. ბათუმი ლეონიძის ქ. 6ა/21** (შემდგომში მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე მხარეებს შორის მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ყინულის სასახლეს გაუწიოს სახანძრო, სამაშველო მოწყობილობების და უსაფრთხოების საშუალებების, 37 ცალი ცეცხლმაქრის შემოწმება-შეკეთებისა და გადამუხტვის სამუშაოები. (**CVP**) კოდი **35100000 საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები. 35111300 ცეცხლმაქრები).** შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას; ჩაიბაროს მოთხოვნილი სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
1.2.მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **1480 (ათას ოთხას ოთხმოცი) ლარს.**
1.3 შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი № 1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება-ჩაბარება

2.1 საქონელი ან მისი ნაწილი, ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
2.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოთ უფლებამოსილი პირები. რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.
2..3 მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარისწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.
2.4 საქონლის ან მისი მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი
2.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს, საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.
3.2 ამ გარანტიის მოქმედების ვადა და სხვა პირობები განისაზღვრება დამოუკიდებლი ხელშეკრულებით.
3.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
3.4 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში, წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარისწორება

4.1 ანგარისწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის შემდეგ 5 საბანკო დღის განმავლობაში.
4.2 ანგარისწორება განხორციელდება **უნაღდო** ანგარისწორების ფორმით.
4.3 ანგარისწორება მიმწოდებეთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 არავითარი გადახდა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში, არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი იმფორმაცია.

5.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398.

5.4 ხეშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი.

6. უფლებების გადაცემა

6.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცდეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები აწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება. ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ, შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების გამო მხარეები შეთანხმდებიან, ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %-ი.

7.4 იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებისათვის გადახდილი ან/და გადასახდელი პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 2%-ს, მაშინ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე წყდება.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა, მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდბულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში, არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე;

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკლის ვალდებულებების შესრულებას.

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

8.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტის მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველივალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლობის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

9.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა და სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგად.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავიდან შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შეუსრულებლობის ისეთი ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომში წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 ნოემბერი.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"შემსრულებელი"
ა(ა)იპ ბათუმის ყინულის სასახლე	შპს „ლაშვარდი"
ქ. ბათუმი ლადო ასათიანის ქ. №27	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. 6ა/21
საინდიფიკაციო კოდი 245 602 110	საინდიფიკაციო კოდი: 245 619 763
ს/ს ლიბერთი ბანკი	ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ანგ.№ GE44LB011516290403400	ანგ №GE37BG0000000131808400
ა(ა)იპ ყინულის სასახლის	შპს „ლაშვარდი"-ს დირექტორი:
დირექტორი: ჯემალ თაფლაძე	ფრიდონ მგელაძე
_____	_____
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ინფორმაცია ინტერესთა
კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 08 ნოემბერი 2013 წელი

ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ბათუმის ყინულის სასახლის მიერ სახანძრო, სამაშველო მოწყობილობების და უსაფრთხოების საშუალებების, 37 ცალი ცეცხლმაქრის შემოწმება-შეკეთებისა და გადამუხტვის სამუშაოების **((CVP)** კოდი **35100000 საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები. 35111300 ცეცხლმაქრები))**. გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ა(ა) იპ ბათუმის ყინულის
სასახლის დირექტორი: ჯ. თაფლაძე

დანართი

(№39 ხელშ. 08.11.2013წ)

ფასების ცხრილი

№	დასახელება	მახასიათებელი	რაოდენობა განზომილების ერთეული		ერთ.ფასი ლარში	საერთო ფასი	მიწოდების ვადა
1.	ცეცხლმაქრი	შემოწმება-შეკეთება	ცალი	37	12.00 ლ	444 ლ	30.11.2013წ
2.	ცეცხლმაქრი	გადამუხტვა	ცალი	37	28.00 ლ	1036 ლ	30.11.2013წ
	ჯამი:					1480 ლ	

ა(ა)იპ ყინულის სასახლის

დირექტორი: ჯემალ თაფლაძე

(ხელმოწერა)

შპს „ლაშვარდი"-ს

დირექტორი: ფრიდონ მგელაძე

(ხელმოწერა)

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
14.02.2005 წ. N84 წლის ბრძანებით

დადასტურებული

1	ეა-70 1714174

3	ნოემბერი	2013

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	11	ნოემბერი	2013

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	2	4	5	6	1	9	7	6	3	

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს ლაშვარდი

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	4	5	6	0	2	1	1	0	

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	ბათუმის ყინულის სასახლე

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
ცეცხლმაქრის გადამუხტვა	ცალი	37.00	1036.00	158.03	0.00
ცეცხლმაქრის შემოწმება-შეკეთება	ცალი	37.00	444.00	67.73	0.00
		სულ	1480	225.76	0

სასაქონლო ზედნადების No

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

თარიღი

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. ბათუმი

“ 11 “ ნოემბერი 2013 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ “ბათუმის ყინულის სასახლ”-ის დირექტორი ჯემალ თაფლაძე და შ.პ.ს „ შპს „ლაშვარდი” მისი დირექტორი ფრიდონ მგელაძე, ვადგენთ წინამდებარე აქტს, მასზედ რომ თანახმად, გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება №39-სა (08.11.2013წ) შ.პ.ს „შპს ლასვარდი”-მ ა(ა)იპ ბათუმის ყინულის სასახლეს გაუწია 1480 (ათას ოთხას ოთხმოცი) ლარის ღირებულების სახანძრო, სამაშველო მოწყობილობების და უსაფრთხოები საშუალებების 37 ცალი ცეცხლმაქრის შემოწმება-შეკეთება და გადამუხტვის სამუშაოები.

შესრულებული სამუშაოს მიმართ მხარეებს პრეტენზიები არ გააჩნიათ.

ა(ა) იპ ბათუმის „ყინულის სასახლ”-ის დირექტორი:

ჯემალ თაფლაძე

(ხელმოწერა)

შპს „ლაშვარდი”-ს დირექტორი:

ფრიდონ მგელაძე

(ხელმოწერა)